დანართი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის შესახებ ინფორმაცია

1. საბჭოს დასახელება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

2. შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობა:

ა) მუდმივი წევრი -25;
ბ) მოწვეული წევრი - 15.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრობის კანდიდატები შეიძლება იყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები (ადმინისტრაციული, მოწვეული/აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი, გარდა - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამფუძნებლის ან/და წილის მფლობელისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლეს მმართველობით თანამდებობაზე დასაქმებული პირებისა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი (რექტორი), რექტორის მოადგილე (პრორექტორი), ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი) დამსაქმებელთა წარმომადგენლები, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტი, აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური მართვის, განვითარების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით სათანადო ცოდნა.

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოწვეული/აკადემიური, სამეცნიერო ან ადმინისტრაციული პერსონალის (გარდა - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამფუძნებლის ან/და წილის მფლობელისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლეს მმართველობით თანამდებობაზე დასაქმებული პირებისა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი (რექტორი), რექტორის მოადგილე (პრორექტორი), ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი) **კვოტით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:**

- არანაკლებ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მოწვეული/აკადემიური პერსონალის პოზიციაზე ან სამეცნიერო სფეროში მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა ან/და ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება ან/და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა/საქმიანობაში მონაწილეობა.

ბ) დამსაქმებელთა, ასევე, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციის კვოტით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება;
- საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის დროისთვის მოქმედი დამსაქმებლის სტატუსის ქონა.

გ) სტუდენტის კვოტით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- არანაკლებ მაგისტრატურის სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონა;
- მაღალი აკადემიური მოსწრება;
- სტუდენტურ და საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობა.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში ცენტრი ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე, შესაბამისი საბჭოს მოწვეული წევრების კანდიდატების შერჩევისას, ცენტრი იყენებს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს.

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მოწვეული წევრის წარდგენისას შესაბამის განცხადებაში ფრჩხილებში მიეთითება სიტყვა „მოწვეული“.

4. საბჭოს წევრის ფუნქციები

საბჭოს წევრის ფუნქციები განსაზღვრულია „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით.

5. საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადა და წესი:

ა) ცენტრში განცხადების წარდგენის ვადა: 2026 წლის 09 ივლისიდან 2026 წლის 20 ივლისის ჩათვლით;

ბ) საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ განცხადება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შესაძლებელია წარდგენილ იქნეს:

- იურიდიული პირის მიერ დანართი №1-ით გათვალისწინებული განცხადების ფორმის შესაბამისად;
- კანდიდატის მიერ დანართი №2-ით გათვალისწინებული განცხადების ფორმის შესაბამისად.

გ) განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ავტობიოგრაფია (CV);
- ცნობა სამუშაო ადგილიდან;

- შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად);
- კანდიდატის წერილობითი თანხმობა შესაბამისი საბჭოს წევრობის შესახებ (თუ განცხადებას წარმოადგენს იურიდიული პირი).

6. დამატებითი ინფორმაცია:

- აკრედიტაციის საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე (გარდა მოწვეული წევრისა) ან ავტორიზაციის, აკრედიტაციის ან სააპელაციო საბჭოს წევრი;
- აკრედიტაციის საბჭოს მუდმივ და მოწვეულ წევრთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ორი წლით.

შენიშვნა:
საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში საბჭოს წევრობის კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი ან/და მოითხოვოს მასთან გასაუბრების ჩატარება.

განცხადებების მიღება წარმოებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული ფოსტის - jobs@eqe.ge - მეშვეობით.

დანართი 1

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს

წარმდგენი: _____
(იურიდიული პირის სრული სახელწოდება)

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

გთხოვთ განიხილოთ _____

(წარმდგენი იურიდიული პირის სრული დასახელება)

_____

(თანამდებობის/პოზიციის დასახელება სრულად)

დასაქმებული _____

(წარდგენილი პირის სახელი, გვარი (პირადი ნომერი ფრჩხილებში))

კანდიდატურა ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საბჭოს წევრად შერჩევის მიზნით:

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
☐ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
☐ **სააპელაციო საბჭო:**

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით
- ☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით
- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს /საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს კვოტით
- ☐ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით

_____**შენიშვნა:**
გთხოვთ მონიშნოთ საბჭოს ერთ-ერთი დასახელება, რომლის კანდიდატად წარედგინება პირი

დანართი: _____ გვ.

_____ _____

(იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა/პოზიცია) (სახელი, გვარი)

ხელმოწერა: _____

დანართი 2

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს

განმცხადებელი _____
(სახელი, გვარი)

პირადი ნომერი: _____

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

განცხადება

გთხოვთ, განიხილოთ _____

(სახელი, გვარი)

_____

(ორგანიზაციისა და თანამდებობის/პოზიციის დასახელება სრულად)

კანდიდატურა ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საბჭოს წევრად შერჩევის მიზნით:

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

☐ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

☐ **სააპელაციო საბჭო:**

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო/საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს კვოტით

☐ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით

_____**შენიშვნა:**

გთხოვთ, მონიშნოთ საბჭოს ერთ-ერთი დასახელება, რომლის კანდიდატად წარედგინება პირი

დანართი: _____ გვ.

ხელმოწერა: _____